ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5983579

ნომერი: AR1891359

თარიღი : 07.04.2022

გაცემის თარიღი : 14.06.2022

გაცნობის თარიღი : 14.06.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის ჩიხი, N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ნებულიშვილი პ/ნ 01008043403
- თბილისი ს.ცინცაძის ქ. N 26 ბ. 3-09

ნომენკლატურა :

- საწყობი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 5781621
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 31.01.2022

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მინის ტარის საწყობი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ამირან ჩოქური
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს,,პროექტი-2006,,

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 216433410

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,დუგლაძეების ღვინის კომპანია''
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206159100
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით დუგლაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008000661

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 30820.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 2525.2
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2354.0
- .საწარმოო ფართობი (კვ.მ).: 2192.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 162.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 30907.2
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 24112.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 6795.2
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 14.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 11.5
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.1
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ---
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 2366.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 9532.8/30820.0=0.3

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:

· განიმარტოს თუ როგორ ხდება საპროექტო შენობაში ავტოსშხეფი სისტემის მომსახურება, გეგმაზე დატანილ იქნას წლის რეზერვუარი და სატუმბის ოთახები. შესაბამისად განიმარტოს საექსპერტო შეფასებში.

· გეგმებზე გრაფიკულად იქნას ნაჩენები მომიჯნავე შენობაში მისაწვდომი სვლა გეზით მისაწვდომ წყალსადენი სისტემების ფიქსირებულ მოწყობილობებთან მოხვედრა, შესაბამისი მანძილის მითითებით.

2. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. :
დაკორექტირდეს ხარვეზების შესაბამისად.

3. არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:
დაკორექტირდეს ხარვეზების შესაბმისად.

4. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:
წარმოდგენილ ადგილის გეგმაზე ნაკვეთის ფორმა არ შეესაბამება სამსახურის რუკაზე განსაზღვრულს, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას ადგილის გეგმა ნაკვეთის საზღვრის ზუსტი ჩვენებით, აქვე უნდა აღინიშნოს რომ სამსახურში დაცული მონაცემებიდან გამომდინარე, ტერიტორია ექცევა ღვარცოფული ხევის ზონაში რომლის შესახებაც არაფერია ნათქვამი საექსპერტო გეოლოგიურ დოკუმენტაციაში, შესაბამისად წარმოდგენილ უნდა იქნას განახლებული გეოლოგიური დოკუმენტაცია სადაც ზემო აღნიშულის გათვალისწინებით განმარტებული და მითითებული იქნება ხომ არ არის გეოლოგიური პროცესების განვითარებისგან რაიმე დამცავი ღონისძიების გატარების საჭიროება, საჭიროების შემთხვევაში კი აისახოს საპროექტო დოკუმენტაციაში.

5. ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:
კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასებაში განხილული არ არის კონსტრუქციული ელემენტების (წერტილოვანი საძირკვლები; ლენტური საძირკველი; სვეტები; ლითონის ელემენტები). წარმოსადგენია კონსტრუქციული სივცითი მოდელის ანგარიში (ილუსტრირებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, გადაადგილება და რხევის პერიოდი) ექსპორტირებული საანგარიშო კომპლექსიდან დადასტურებული/ხელმოწერილი შემსრულებლის მიერ.

6. სამსახურმა გაგიწიათ შუამდგომლობა და საკითხი განსახილველად გადაგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (წერილის ნომერი : 60-01221573342), ვინაიდან ამ დროისთვის საკითხი შესწავლის პროცესშია, შესაბამისად პასუხი გეცნობებათ კვლევის დასრულების შემდგომ, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი გადმოგეგზავნებათ დანართის სახით.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.